თავი 8

ნორმატულ დანახარჯთა აღრიცხვის სისტემა

1. ამოარჩიეთ არასწორი მსჯელობა - ნორმატულ დანახარჯთა სისტემა არის:

ა. საწარმოო დანახარჯების შეფასებითი სისტემა წარმოების პროცესში, რომელიც ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ მონაცემებს;

ბ. პროდუქტის ან მომსახურების ერთეულისათვის წინასწარ დაგეგმილი ხარჯი;

გ. პროდუქტის ან მომსახურების ერთეულისათვის ფაქტიურად გაწეული ხარჯი.

2. ამოარჩიეთ არასწორი მსჯელობა - ნორმატულ დანახარჯთა სისტემა

ა. საწარმოო დანახარჯების შეფასებითი სისტემაა წარმოების პროცესში, რომელიც ეყრდნობა წინასწარგანსაზღვრულ მონაცემებს;

ბ. მომავალში გასაწევი დანახარჯების წინასწარგანსაზღვრული სისტემაა;

გ. წარმოების პროცესში ფაქტიურად გაწეული დანახარჯების აღრიცხვის სისტემაა.

3. ნორმატულ დანახარჯთა სისტემის არსებობის დროს:

ა. საჭიროა წარმოების მთლიანი ფაქტიური დანახარჯების აღრიცხვა;

ბ. აღარ არის საჭირო წარმოების მთლიანი ფაქტიური დანახარჯების აღრიცხვა;

გ. საწარმოს მენეჯმენტი თვითონ წყვეტს აღრიცხოს თუ არა წარმოების მთლიანი ფაქტიური დანახარჯები.

4. ხელსაყრელია გადახრა, როცა

ა. ფაქტიური დანახარჯები ნაკლებია ნორმატულზე;

ბ. ფაქტიური დანახარჯები ნორმატულის ტოლია;

გ. ფაქტიური დანახარჯები მეტია ნორმატულზე.

5. არახელსაყრელია გადახრა, როცა

ა. როცა ფაქტიური დანახარჯები ნორმატულის ტოლია;

ბ. როცა ფაქტიური დანახარჯები ნაკლებია ნორმატულზე;

გ. როცა ფაქტიური დანახარჯები მეტია ნორმატულზე.

6. საწარმოო დანახარჯების გადახრა წარმოადგენს სიდიდეს, რომელი შეიძლება წამოიშვას

ა. თვის განმავლობაში პროდუქტზე ფაქტიური დანახარჯების ნაცვლად ნორმატული დანახარჯების მიკუთვნებისას;

ბ. თვის განმავლობაში პროდუქტზე ნორმატული დანახარჯების ნაცვლად ფაქტიური დანახარჯების მიკუთვნებისას;

გ. თვის განმავლობაში პროდუქტზე ნორმატული და ფაქტიური დანახარჯების საშუალო მაჩვენებლის მიკუთვნებისას.

7. ყოველი თვის ბოლოს:

ა. მასალების გადახრის ანგარიშები ნულდება და მათი ნაშთი გადაიტანება "გაყიდვების თვითღირებულების" ან უშუალოდ პერიოდის ხარჯებში;

ბ. საჭირო არ არის მასალების გადახრის ანგარიშების განულება თვის ბოლოს;

გ. მასალების გადახრის ანგარიშები იხურება და მათი ნაშთი მიემატება იმავე პერიოდის შემოსავლებს.

8. მასალების ფასის გადახრა იანგარიშება შემდეგნაირად:

ა. ფაქტიური რაოდენობისა და ნორმატული ფასის ნამრავლს აკლდება ფაქტიური რაოდენობისა და ფაქტიური ფასის ნამრავლი.

ბ. ნორმატული რაოდენობისა და ნორმატული ფასის ნამრავლს აკლდება ფაქტიური რაოდენობისა და ნორმატული ფასის ნამრავლი;

გ. არც ერთი პასუხი არა არის სწორი.

9. ამოარჩიეთ არასწორი მსჯელობა:

ა. ნორმატული დანახარჯები წარმოადგენს დანახარჯების საკონტროლო მაჩვენებელს;

ბ. ნორმატულ დანახარჯებს არ ექცევა ყურადღება გადახრების გამოთვლისას და ანალიზისას;

გ. ბიუჯეტები ნორმატული დანახარჯების საფუძველზე მზადდება.

10. ამოარჩიეთ არასწორი მსჯელობა:

ა. ნორმატული დანახარჯების არსებობა მნიშვნელოვანია დაგეგმვის, კონტროლისა და მოტივაციის განსახორციელებლად;

ბ. ნორმატული დანახარჯების არსებობა მნიშვნელოვანია გადახრების გამოთვლისათვის და ანალიზისათვის;

გ. საწარმოს ბიუჯეტი იქმნება, მენეჯმენტის გადაწყვეტილების შესაბამისად ან ნორმატულ დანახარჯთა საფუძველზე, ან ფაქტიურ დანახარჯთა საფუძველზე.

11. მასალების გამოყენების გადახრა იანგარიშება შემდეგნაირად:

ა. ფაქტიური რაოდენობისა და ნორმატული ფასის ნამრავლს აკლდება ფაქტიური რაოდენობის ნამრავლი ფაქტიურ ფასზე;

ბ. ნორმატული რაოდენობის ნორმატულ ფასზე ნამრავლს აკლდება ფაქტიური რაოდენობის ნორმატულ ფასზე ნამრავლი;

გ. არცერთი პასუხია სწორი.

12. ამოარჩიეთ სწორი მსჯელობა: თუკი თვის ბოლოს საერთო-სამეურნეო ხარჯების გამანაწილებელ ანგარიშზე აღმოჩნდება სადებეტო ნაშთი, ე.ი.

ა. არ ხდება ფაქტიური და ნორმატული ხარჯების შედარება;

ბ. ფაქტიური ხარჯები უფრო ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე ნორმატივით იყო დათვლილი;

გ. ფაქტიური ხარჯები უფრო მეტია, ვიდრე ნორმატივის მიხედვით პროდუქციაზე მიკუთვნებული.

13. ამოირჩიეთ სწორი მსჯელობა: თუკი თვის ბოლოს საერთო-სამეურნეო ხარჯების გამანაწილებელ ანგარიშზე აღმოჩნდება საკრედიტო ნაშთი, ე.ი.

ა. არ ხდება ფაქტიური და ნორმატული ხარჯების შედარება;

ბ. ფაქტიური ხარჯები უფრო ნაკლებია, ვიდრე პროდუქციაზე ნორმატივის მიხედვით მიკუთვნებული;

გ. ფაქტიური ხარჯები უფრო მეტია, ვიდრე პროდუქციახე ნორმატივის მიხედვით მიკუთვნებული.

ამოცანა 1

"Z" პროდუქტის წარმოების ნორმატული და ფაქტიური დანახარჯების შესახებ გვაქვს შემდეგი ინფორმაცია:

"Z" პროდუქტის ნორმატულ დანახარჯთა ცხრილი

პირდაპირი მასალა

	ნორმატული რაოდენობა	ნორმატული ფასი	სულ დანახარჯი ლარი
"ა" მასალა	15	2.1	31.5
"ბ" მასალა	5	1,7	8.5
სულ პირდაპირი მასალა ერთეულზე			40

პირდაპირი შრომა

	ნორმატული დრო (სთ)	ნორმატული ფასი (ლარი)	სულ დანახარჯი (ლარი)
"ა" და "ბ" მასალის ქიმი-ური ნაერთის დამზადება	1,5	18	27
ღუმელში გამოწრთობა	6	4	24
სულ შრომითი დანახარჯები	**7,5**		**51**

ერთ პირდაპირ სამუშაო საათზე

საერთო-სამეურნეო ნორმატული დანახარჯი	19 ლარი
ჯამი: ერთეული პროდუქტის ნორმატული დანახარჯი	110 ლარი

წარმოებულია 1 000 ცალი "Z" პროდუქტი.

წარმოებისას ადგილი ჰქონდა შემდეგ ფაქტიურ დანახარჯებს:

"Z" პროდუქტის ფაქტიურ დანახარჯთა ცხრილი

პირდაპირი მასალა

	ფაქტიური რაოდენობა	ფაქტიური ფასი	სულ ფაქტიური დანახარჯი, ლარი
"ა" მასალა	16	2.15	34.4
"ბ" მასალა	4,5	2	9
სულ პირდაპირი მასალა ერთეულზე			43.4

პირდაპირი შრომა

	ფაქტიური დრო (სთ)	ფაქტიური ფასი (ლარი)	სულ ფაქტიური დანახარჯი (ლარი)
"ა" და "ბ" მასალის ქიმი-ური ნაერთის დამზადება	2	16	32
ღუმელში გამოწრთობა	6	4	24
სულ შრომითი დანახარჯები	8		56

ერთ პირდაპირ სამუშაო საათზე

საერთო-სამეურნეო ფაქტიური დანახარჯი	18,6 ლარი
ჯამი: ერთეული პროდუქტის ფაქტიური დანახარჯი	118 ლარი

გაიანგარიშეთ:

1) მასალების ფასების გადახრა და ავსახოთ აღრიცხვაში.

2) Z პროდუქტის მასალების გამოყენების გადახრა და მიუთითოთ როგორ აისახება ის შედეგებში:

3) პირდაპირი შრომის დანახარჯების გადახრა:

4) საერთო-სამეურნეო ხარჯების გადახრა

ამოცანა 2

X პროდუქციის საწრმოებლად გამოყენებული ლიტრი ნედლეულის ნორმატიული ფასი არის 1.30 ლარი. მაისის განმავლობაში 2300 ლიტრი შეძენილ იქნა 3128 ლარად. გამოთვალეთ ძირითადი მასალის ფასის გადახრა მაისის თვისათვის.

ამოცანა 3

Z პროდუქტის საწარმოებლად ნორმატიულად გამოიყენება 0.4 ტონა მასალა.
1 ტონა მასალის ნორმატიული ფასი არის 30 ლარი.

აპრილის განმავლობაში წარმოებულ იქნა 500 ერთეული და მოხმარებული იქნა 223 ტონა მასალა, რომლის ღირებულება იყო 6913 ლარი. რისი ტოლია ძირითადი მასალის გამოყენების გადახრა?